

ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო
საწარმოებისათვის
(მსს ფასს)

ქ. ბათუმი, 2021წ.

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა
3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის
4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა
5. ამონაგები (საპროცენტო შემოსავლები)
6. სხვა შემოსავალი
7. ფინანსური დანახარჯები
8. მოგება დაბეგვრამდე
9. მოგების გადასახადის ხარჯი
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
12. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები
13. ძირითადი საშუალებები
14. არამატერიალური აქტივები
15. გადავადებული გადასახადი
16. საბანკო ვალდებულებები
17. სავაჭრო ვალდებულებები
18. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები
19. ფინანსური იჯარის ვალდებულება
20. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები
21. კომპანიის კაპიტალი
22. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
23. საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი მოვლენები
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები
25. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები
26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება



1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სესხის გამცემი სუბიექტი სანდო კრედიტი (445529811) კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია 30/03/2018წ. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, წერეთლის ქუჩა, N 44/48. კომპანიას დღეის მდგომარეობით გააჩნია 8 ერთეული ფილიალი და ერთი სათავო ოფისი.

კომპანია რეგისტრირებულია ეროვნულ ბანკში სესხის გამცემ სუბიექტად 2019 წლის თებერვლის N362 განკარგულების საფუძველზე, და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი სგს -0220055.

კომპანია ეწევა საფინანსო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც გასცემს პროცენტიან სესხებს სხვადასხვა ოქროს ნივთების და ძვირფასი თვლების უზრუნველყოფით. კომპანია არის ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული სესხის გამცემ სუბიექტად. კომპანიის საქმიანობას ასევე წარმოადგენს ვალუტის გაცვლითი ოპერაციების წარმოება.

კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი და 100 პროცენტიანი წილის მქონე პარტნიორია მედეა ტიკარაძე, 61001023115.

კომპანიის დირექტორი - მედეა ტიკარაძე, 61001023115

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.



ვალუტა

იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ანგარიშგების შემადგენლობა

ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

საპროცენტო შემოსავლის აღიარდება ხდება დარიცხვის პრინციპის გამოყენებით, მაშინ როდესაც მსესხებელს გრაფიკის მიხედვით თვის ბოლოს ერიცხება სესხის პროცენტი.

საპროცენტო ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი



მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივებს წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა (სასესხო - სავალუტო პროგრამა, საბუღალტრო პროგრამა),

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. კომპანიას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია ფინანსური იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. კომპანიას გააჩნია 9 (ცხრა ერთეული საიჯარო ფართი, რომელშიც განთავსებულია სათავო ოფისი და ფილიალები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიას საქმიანობის საგნიდან გამომდინარე ეკრძალება სხვა საქმიანობის განხორციელება, ამიტომას არ გააჩნია სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მოთხოვნებს ძირითადად შეადგენს სასესხო მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ რომელთაც ერიცხება პროცენტი სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მოთხოვნების (გაცემული სესხების) ვადაგადაცილება მას ერიცხება პირგასამტეხლო (ვაგადასაცილების დროისათვის) მოთხოვნების შეფასება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სასესხო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა

დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი ერიცხებათ. სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად არის ბანკების მიმართ და კომპანიის დამფუძნებლის მიმართ. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. ბანკის სესხები და საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

კომპანიას საქმიანობის საგნიდან გამომდინარე ეკრძალება სხვა საქმიანობის განხორციელება, ამიტომას არ გააჩნია კომპანიას საგარანტიო ვალდებულებები, შესაბამისად არც ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების გადახდის ვალდებულების განსაზღვრება სამომავლოდ. ხელფასის ზრდა დაიგეგმა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც

გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ამონაგები (საპროცენტო შემოსავლები) (ლარში)

2020 წელი	2019 წელი
2 260 645	1 878 293

ამონაგები (შემოსავალი უცხოური ვალუტით ვაჭრობისას) (ლარში)

2020 წელი	2019 წელი
17 575	25 431

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს დარიცხულ და ამოღებულ პირგასამტეხლოებს სესხების ვადაგადაცილებისთვის, ასევე სასესხო ცნობების გაცემის საფასურს და პანდემიის გამო თანამშრომელთა ხელფასზე დარიცხული და დაქვითული საშემოსავლო გადასახადის სახელმწიფოს მხრიდან პატიებით მიღებული სარგებელი (კომპენსაცია).

7. ფინანსური დანახარჯები სულ

2020 წელი	2019 წელი
1 580 471	1 290 747

მათ შორის

ბანკის სესხისა და დამფუძნებლისგან მიღებული სესხების პროცენტი

1 118 031	930 914
-----------	---------

ხელფასები	275 086	233 559
-----------	---------	---------

ცვეთა	8 181	4 398
-------	-------	-------

ადმინისტრაციული და სხვა

საოპერაციო ხარჯები	179 173	121 876
--------------------	---------	---------

8. მოგება დაბეგვრამდე

2020 წელი	2019 წელი
856 380	670 264

9. მოგების გადასახადის ხარჯი

2020 წელი	2019 წელი
128 457	100 539

მიმდინარე გადასახადი

2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
29 557	100 540	15 802

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ლარში)

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
სავაჭრო დებიტორები			
გაცემული სესხის ძირი	9 833 396	7 639 425	5 655 284
მისაღები პროცენტი	288 656	241 072	136 838

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიას საქმიანობის საგნიდან გამომდინარე ეკრძალება სხვა საქმიანობის განხორციელება, ამიტომას არ გააჩნია კომპანიას ნედლეული და მასალები დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია



11. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

კომპანიას ასეთი არ გააჩნია ამ ეტაპისთვის

13. ძირითადი საშუალებები (ლარში)

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ოფისის აღჭურვილობა	35 375	27 368	17 394
ავეჯი და სხვა ინვენტარი	146	183	
სულ	35 521	27 551	17 394

დაგროვილი ცვეთა (ლარში)

2020 წელი	2019 წელი
8 181	4 398

პროგრამული უზრუნველყოფა: (ლარში)

თვითღირებულება	2020 წელი	2019 წელი
	1850	1000
ცვეთა	353	150

ნაშთი პერიოდის ბოლოს 1496 850

14. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში ნაგულისხმევია სავალუტო ლიცენზია.

თვითღირებულება	2020 წელი	2019 წელი
	2450	3000
ცვეთა	490	550

ნაშთი პერიოდის ბოლოს 1960 2450



15. გადავადებული გადასახადი

საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და საგადასახადო ორგანოებისათვის წარდგენილ თანხებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა. კომპანიას არ გააჩნია გადავადებული გადასახადები.

16. საბანკო ვალდებულებები

ბანკის სესხი – სრულად დაფარვის ვადაა 2025 წელი, წინასწარ გადახდაზე ჯარიმა გათვალისწინებულია წინსწრები თანხის 2 პროცენტის ოდენობით.

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია მსესხებელთან დადებული სასესხო ხელშეკრულებების საფუძველზე კომპანიის მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნებით რომელიც არის ცვალებადი.

ბანკის სესხზე პროცენტის გადახდა ხდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ცვლადი პროცენტით, რომლის ოდენობაც მიზმულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთზე.

17. სავაჭრო ვალდებულებები სულ (ლარში)

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
	9 457 754	7 461 838	5 804 948
მათ შორის			
ბანკების მიმართ	7 204 166	5 140 000	4 646 231
დამფუძნებლის	2 204 615	2 215 761	1 139 402
მიმდ მოგების			
გადასახდელი	29 557	100 540	15 802
სხვა ვალდებულ	19 416	5 537	3 513

18. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

კომპანიას მიმდინარე პერიოდში საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები არ გააჩნია.

19. ფინანსური იჯარის ვალდებულება

კომპანიას მიმდინარე პერიოდში ფინანსური იჯარის ვალდებულება არ გააჩნია.

20. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს 9 ობიექტი (1 სათავო ოფისი და 8 ფილიალი). ამ იჯარების საშუალო ვადა 5 წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჯამური საიჯარო გადასახდელები (ლარში)

2020 წელი	2019 წელი
81 909	34 700

21. კომპანიის კაპიტალი (ლარში)

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
კომპანიის საწესდებო	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება	727 923	569 725	104 329
დივიდენდის გამოცხადება -	420 947	- 89 768	-
სულ კაპიტალი	891 362	584 386	104 429



22. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (ლარში)

ფულადი სახსრები	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ბანკში	6 668	841	10
სალაროში	181 419	134 679	99 851
სულ	188 087	135 520	99 861

23. საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი მოვლენები

2020 წელში მსოფლიოში მომხდარი პანდემიის გამო კომპანიას არ შეუჩერებია მუშაობა, შესაბამისად პანდემიას არსებითად არ მოუხდენია გავლენა კომპანიის შემოსავლებზე შემცირების კუთხით, ასევე ხარჯების გაზრდის კუთხით, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან გაწეულ იქნა გარკვეული შეღავათი, კერძოდ განხორციელდა პანდემიის გამო თანამშრომელთა ხელფასზე დარიცხული და დაქვითული საშემოსავლო გადასახადის სახელმწიფოს მხრიდან პატიება (კომპენსაცია), რამაც გამოიწვია კომპანიის მხრიდან სარგებლის მიღება.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ რაიმე ისეთი მოვლენა არ მომხდარა, რასაც შეეძლო ემოქმედა კომპანიის შემოსავალზე ან/და ვალდებულებებზე.

25. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიის მიერ საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხების თანხების გადახდა პირადად არის გარანტირებული კომპანიის დამფუძნებლის მიერ. ასევე სამეწარმეო ამონაწერში დაფიქსირებულია წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულება რომლის თანახმადაც მესაკუთრეთა: მედეა ტიკარაძე,



61001023115 მონაწილე პირი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სესხის გამცემი სუბიექტი სანდო კრედიტი, 445529811 კრედიტორი: სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი, 204854595 საგანი: მედეა ტიკარაძის (61001023115) საკუთრებაში არსებული შპს სესხის გამცემი სუბიექტი სანდო კრედიტის (445529811) კაპიტალის 100%-იანი წილი. ასევე დირექტორის ხელმძღვანელობითი /წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა. ფინანსური გირავნობის (გირაოს) ხელშეკრულების 5.1.1. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება. საფუძველი: #200669772, ფინანსური გირავნობის (გირაოს) ხელშეკრულება, ნოტარიუსი სვანაძე ნათია, 09/09/2020 საფუძველი: #200669910, სს. თიბისი ბანკის თანხმობა შეზღუდვის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ნოტარიუსი სვანაძე ნათია, 09/09/2020 საფუძველი: #200689429, კრების ოქმი, ნოტარიუსი ჭედია ლეილა, 11/09/2020

ამ კომპანიის დამფუძნებლის მიერ ამ გარანტიისათვის არ მოითხოვებოდა რაიმე დანახარჯების გაწევა.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი ----- მედეა ტიკარაძე
ბუღალტერი ----- ნინო ნაკაშიძე

